სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

21 / მარტი / 2024 წ.

KA020153464733224

№ **253/ს**

ბრძანება ფ/პ მედეა ხუჭუაზე (პ/ნ 37001006340) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების №10001159 ლიცენზიის გაუქმების შესახებ

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-6 პუნქტის, მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების, მე-7^5 მუხლის 1^2 პუნქტის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 04 იანვრის N1-1/2 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის „ვ“ პუნქტის, ფ/პ მედეა ხუჭუას განცხადების (№2196 06.03.2024წ.) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2019 წლის 09 დეკემბრის N1536/ს და 2020 წლის 28 იანვრის N110/ს ბრძანებები;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს (გაუქმდეს) ფ/პ მედეა ხუჭუაზე, ქალაქ სამტრედიის ტერიტორიაზე, რესპუბლიკის ქუჩა N22-ში გაცემული მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო დანიშნულებით) მოპოვების №10001159 ლიცენზია;
3. დაევალოს სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტს ლიცენზიის გაუქმების შესახებ მონაცემები დადგენილი წესით შეიტანოს უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში;
4. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ.თბილისი, სანაპიროს ქ. N2), მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

ანდრო ასლანიშვილი